საქართველო

წელიწადი მეხუთე | ხუთშაბათი, 25 ენკენისთვე 1919 წ. № 207 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერობის ხმოსანთა საყურადღებოთ!

თბილისის მაზრის ერობის გამგეობა იწვევს ამა წლის 28 სექტემბერს მაზრის ხმოსანთა

არაჩვეულებრივ ყრილობას

(რუსთაველის პრ. № 6) სხდომა გაიხსნება დილის 10 საათზე.

2—2563—2 გამგეობა

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფად ჯდება, იწვება ყოველგვარ ქვემო [illegible] გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **საგანგებოდ დამზადებული** ნახშირი და **დიდ-ძალი კირი, საუკეთესო** ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, თბილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილად. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 6, ტელ. № 11—45.

1002 13—8 ტყიბულის ქვა-ნახშირის გამსაღებელი მთავარი სააგენტო

დიტრიხსოვსკის ამხანაგობის
ლუდის ქარხანა
გ. ვეტცელი ძმ. და კ-ნია (ყოფილი დიტრიხსისა)
ხავერდის ფერი ლუდი „ეკსპორტი“
დაკვეთა ტელეფონით: 7—80.

2565 4—1

თვითნებობა და სასამართლო

ჩვენს გაზეთში ამ უკანასკნელს დროს რამოდენიმეჯერ შევეხეთ სახელმწიფოს ზოგიერთ დაწესებულებებში დამყარებულს წესებს.

ამას ზოგი ვინმე შეუშფოთებია. დღე არ გავა, რომ გაზეთს ამა თუ იმ უწყებიდან არა ოფიციალურად ამა თუ იმ პირის საშუალებით მუქარა არ შემოუთვალონ—თქვენს გაზეთში ჩვენს უწყებაზე ესა და ეს სწერია და ამისათვის ჩვენ განზრახული გვაქვს სამართალში მიგცეთო.

საბრალო პამპადურები! მათ უთუოდ კარგად უწყიან, რომ რაც აქამომდე თქმულა ის მეტად უმანკო რამ იყო და ის სასამართლოს წინაშე ბრალდების საგნადაც ვერ გახდება. მაგრამ მათ კარგად უწყიან, რომ გარდა იმისა რაც ითქვა, ითქმება კიდევ მრავალი უფრო საფუძვლიანი და საყურადღებო. ჩვენი პამპადურების მუქარასაც ალბად ეს მიზანი აქვს—დააშინონ თავისუფალი სიტყვა, რათა არ ითქვას ის, რაც სათქმელია. მათი იმედები, რასაკვირველია, აქაც ვერ მიაღწევს მიზანს.

ერთ პამპადურს ფეხი კიდევ უფრო შორს დასცურებია თავის ადმინისტრატიულ სიმაღლიდან. მას სასამართლოს ბრალმდებელისათვის შეუთვლია—გაზეთი „საქართველო“ მიეცით პასუხის გებაშიო. იკითხავთ—რისთვის? გაზეთის ერთს წერილში განხილულია დამფუძნებელი კრების პირველი სესიის მუშაობა და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობა მეტად შეუფერებლად არის დახასიათებულიო. მეტად მხიარული კურიოზია. რა უნდა იყოს დაბლა, როდესაც, როგორც სჩანს მმართველობის სათავეშიც ვერ არჩევენ დამფუძნებელ კრებას და მის უფლებებს უბრალო საფინო კომისარიატისაგან. მილიციელი და მისი უფროსები დამფუძნებელი კრების პრესტიჟის დამცველის როლში!

ამის გამოგონება ალბად ნიჭიერ იურისტსაც გაუჭირდებოდა, ჩვენ კიდევ ველით ასეთს მხიარულს გამოსვლებს.

მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმდენად მწარეა, რომ ასეთს მხიარულს მოვლენებზე ხანგრძლივად ვერ შევჩერდებით, ის, რაც ხდება ჩვენს მმართველობაში, მმართველობის ყოველს სფეროში, ქვეყნისთვის დამღუპველია და არ შეიძლება რომ დიდხანს გაგრძელდეს.

ამას უნდა შეურიგდენ ყველა ის პირები, რომელნიც მოკალათებული არიან სხვა და სხვა უწყებებში და თავს კარგად გრძნობენ, ზოგი თავის ალყა-ახსნილი, თავ აშვებული მოლაღობით ხალხის საქმეს აოხრებენ. მმართველ წრეებს თუ მათ სურთ, რომ მათი პრესტიჟი ხალხში საბოლოოდ არ დაეცეს, სასწრაფოდ ჰმართებთ ცოცხებით შეიარაღება, ჩვენი რესპუბლიკის ავგიოსის თავლების დასაგველად.

განსაცვიფრებელია, რომ ასეთი ამაყური კილო, რომ მმართველობის ამა თუ იმ უკანონო მოქმედებას არავინ შეეხოს, პროვინციის პომპადურებსაც ჰქონიათ შეთვისებული. ქუთაისის ჩვენი მიმართულების გაზეთსაც მოსვლია ასეთი მრისხანე მუქარები. იქაც სამართალში მიცემით ემუქრებიან, მაგრამ დრო გადის და სასამართლოდან არაფერი ცნობაა. თავის დღევანდელი მდგომარეობით გაგულადებულ მოხელეთ ავიწყდებათ, ან მათ ეს არასოდეს არ სცოდნიათ, რომ გაზეთის სამართალში მიცემისათვის ამა თუ იმ მოხელის წყრომა არ არის საკმარისი. თუ თავისუფალი პრესის წინააღმდეგ ასეთი მუქარები ისმის, რასაკვირველია, უფრო მძიმე ტერორ-ქვეშ იქნება ჩვენი პროვინციის მცხოვრებნი. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ასეთს ზომებს საზოგადოებაზედაც არ ექნება ისეთი გავლენა რომ თავისუფალი აზრი ხალხში დაიხშოს და მართველობის აგენტებთა ბოროტ-მოქმედებებთან ბრძოლა შეუძლებელი გახდეს. ჩვენი თანამოაზრეებიდან მოვითხოვთ, რომ მათ საჭირო სიმტკიცე და მხნეობა გამოიჩინონ ასეთს ბოროტებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პასუხი ექიმ ბ. კაკიტელაშვილს

თავისი გამოცემის მესამე წლის დასაწყისში როგორც იქნა გაჭირვებით იშვა ე. წ. გაზეთ „ხმა ებრაელისა“ მე-№ 14, რომლის მატერიალური რესურსები ჯერ არ გასცილებია რუსეთელ ებრაელთა მოწყალეობას, ზნეობრივი სისპეტაკე „დოხტურ“ კაკიტელაშვილის პიროვნებას, ხოლო გონებრივი და ნებისყოფითი სიღრმავე ბუზიყლაპია და ორკლასიანი მოწაფეებისა, „გალსტუხნი“ იდეებით გამანიაკებულ ორიოდე სტუდენტის არსებას.

ამ ნომერში ორი წერილია მოთავსებული: ერთი არის „მეთაური“, ხოლო მეორე ნაყოფი „დოხტურ“ კაკიტელაშვილის, პოლემიკურ „შემოქმედებისა“. არსებითად ორივე წერილი მიმართულია ჩემს წინააღმდეგ და, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერს არ ამტკიცებენ, გარდა ამ წერილთა ავტორების ან გაკრეტინებისა, ან სულის სიბინძურისა და ან კიდევ მათი წარმოუდგენელი ბავშვობისა.

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით რომ სიონისტური მოძრაობა არ აღმოცენებულა საქართველოში ქართველ ისრაელთა წიაღიდან, არამედ იგი გადმოგვინერგეს პოგრომულ რუსეთის სახელმწიფოდან. აქედან ცხადია, რომ ის ქართველი ისრაელნი, რომელნიც ამ უტოპიურ მიმართულებას აეკიდნენ, ან იყვნენ გაბრიყვებულნი და გზაკვალ აბნეულნი ან ქართველ ისრაელთა და საქართველოს სრულებით მოწყვეტილნი და ან რაიმე ჯილდოზე [illegible] საშუალებით შესყიდულნი და მაშასადამე მტრებიც ქართველი ისრაელებისა.

ჩვენ არ შევცდით და დავრწმუნდით, რომ ყველა ასეთ პირთა მოღვაწეობა მიმართული იყო მხოლოდ იქითკენ, რომ როგორმე მტრობა ჩამოეგდოთ ქრისტიან და ისრაელ ქართველთა შორის. მაგალითებისათვის შორს არ წავიდეთ. რაბინ დავით ბააზოვის [illegible] გარეცხილობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და იმ დროს როცა ქართულ გაზეთებში და საქართველოს პოლიტიკურ სფეროებში პატრიოტული ალტყინებით გაიძახდა: „გაუმარჯოს საქართველოს ავტონომიას“-ო, მიდიოდა ბაქოში თუ სხვა ქალაქებში და თვალცრემლიანი არწმუნებდა უცხოეთიდან მოხიზნულ ებრაელებს: არიქა გვიშველეთ, ქართველი ქრისტიანები ავტონომიას იღებენ და ეს დაღუპავს ქართველ ისრაელებსაო.

პრესაში სწერდა, სიონისტი არა ვარო, მაგრამ სიტყვიერად და საქმითაც ადასტურებდა თავის სიონისტობას.

ასევე დაბალი ხარისხოვანი ზნეობის პატრონი გამოდგა, ჭკუისა და ნიჭის ზღვაზე გარიყული „ნეუდაჩნიკი“ მოღვაწე „დოხტური“ კაკიტელაშვილიც. ერთერთ ჩვენ წერილში („საქართველო“ № 193) აღნიშნული გვქონდა მისი მავნე მოქმედების და მუშაობის ხასიათი და ეხლაც, მისი ბრაზით სავსე წერილი გვაიძულებს შევავსოთ ჩვენი წინა წერილი. ჩვენ ვწერდით, რომ ბ. კაკიტელაშვილი მტერია საქართველოსი და ქართველი ისრაელებისაც. ამის მაგივრად, რომ მან წინააღმდეგი დაამტკიცოს და თავი იმართლოს ასეთი მძიმე ბრალდებისაგან, იგი სიტყვას ბანზე ისვრის, უხვევს კითხვის არსებას და ისეთი არა სასიამოვნო სუნს აფენს როგორც უღირსისა და დაბალ ზნეობის „გაზეთს“, რომ არც კი იცით დაბოლოთ, ვისთან გაქვთ საქმე და ვისთან უნდა აწარმოვოთ პოლემიკა.

რაში დაინახა ექ. კაკიტელაშვილმა ჩემი რენეგატობა? თუ რაც ნუ იტყვით, მისი პერსონი იმდენად მაღლა სდგარა, რომ ვინც მის წარსულ ან აწმყო მოღვაწეობას კრიტიკის თვალით შეხედავს, იგი არა მარტო რენეგატია, არამედ ანტისემიტიც, [illegible] უსინიდისოც და სხ. ჩვენ ურჩევთ ბ-ნ „დოხტურს“ სინიდისის ქექას თავი დაანებოს, თორემ საკმარისად მოგვეპოება მასალები მისი მდარე სინიდისიანობისა, ყოვლად უმწვავესი ორპირობისაც, პოლიტიკური, თუ (უფრო ზნეობრივი) მერყეობისაც და ქართველოფობისა. ყოველ შემთხვევაში მე მეგონა, რომ „დოხტური“ იმდენ ჭკუას მაინც გამოიჩენდა, რომ ხელს არ ახლებდა იმ საქმეს, რომელიც მან მოიმოქმედა განათლების სამინისტროში, თორემ მე ეხლა იძულებული ვარ ვამხილო საზოგადოების წინაშე თქვენი ს საზიზღარი საქციელი, რომელიც გამოიხატა არა იმაში, რომ თქვენ ქართველ ისრაელთა მავშვებისა-ლის რუსული სწავლა მოითხოვეთ პოლიტიკურ მხარეში, არამედ გამოიხატა იმაში, რომ როდესაც სამართლიანი უარი მიიღეთ თქვენს ბრიყვულ შუამდგომლობაზე, თქვენ შეურაცხყავით ქართული ენა და უზრდელად თქვენებურად განაცხადეთ სამინისტროს კაბინეტში: „А если я презираю ваш языкъ“.

აქ რომ მაინც აღარაა საჭირო კომენტარიები? აქვე არ შემიძლია არ შევეკითხო ბ-ნს „განმანათლებელ“ პოლიტიკოსს: რა უწოდოთ იმას, რომ ხმოსნობისა თუ სხვა მიზნისათვის, თქვენ ერთსა და იმავე დროს მოლაპარაკებას აწარმოებდით ეროვნულ-დემოკრატიულ, სოციალ-დემოკრატიულ და სხვა პარტიებთან და ყველას არწმუნებდით, რომ [illegible] და იზიარებთ მის პრინციპებს, ტაქტიკას, პოლიტიკას და სხ. და ამავე დროს სიონისტიც იყავით? ნუ თუ გგონიათ, რომ თქვენი დიპლომი—თქვენს პოლიტიკურ სიმწიფესაც ამოწმებს, ან გგონიათ, რომ ამ დიპლომით მოჰხიბლავდით ქართულ პარტიებს, რომლებმაც გაიგეს თქვენი პიროვნების სრული არარაობა და ზურგი შეგაქციესთ? შეიძლება ამის ნაყოფიც იყოს თქვენი ლვარძლიანობა და ყველაფერის ქართულისადმი სიძულვილი?

რაც შეეხება ჩემს ანტისემიტობას, მე [illegible] არა ვფიქრობ, რომ თუ ანტისემიტობა საქართველოში გამოიხატება ბააზოვ-კაკიტელაშვილისთანა პირების და სხვა სიონისტების მხილებაში, მე ვარ ასეთი ანტისემიტი. მაგრამ თუ ანტისემიტობა ჩვენში [illegible] უნდა მოგაგონოთ, რომ [illegible] სიძულვილი თქვენსავით ჯერ არავის არ გამოუჩენია საქართველოში. [illegible] ეს მხოლოდ სიტყვის მახვილია [illegible] ამით გსურთ ფსიხოლოგიური შთაბეჭდილება მოახდინოთ და თავი იძვრინოთ მახიდან, მაგრამ რაც იზამთ, როდესაც ბევრი იცნობს ჩემსა და თქვენს პიროვნებასაც, როგორც ამ მხრივ, ისე ზნეობრივი და დემოკრატიული სისპეტაკის მხრითაც.

ანტისემიტიზმზე საქართველოში ლაპარაკი მხოლოდ მაინაკ სიონისტებს თუ შეუძლიანთ, თორემ სად არის აქ ანტისემიტიზმის ობიექტი? თქვენ კი ცდილობთ შექმნათ იგი და ამით თქვენი ხულიგანური ზრახვები დაიკმაყოფილოთ. და სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ ჩვენ შეუბრალებლად გებრძვით და ნიღაბს არ გიტოვებთ სახეზე, ხოლო ასეთი ბრძოლა თქვენ ანტისემიტობად მიგაჩნიათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, „დოხტურს“ მწარედ მოხვედრია ჩემი წერილის ის ადგილი, სადაც მის სტუდენტურ ნაცოდვილარს ვეხებოდი და პროფ. ალ. ხახანაშვილს იმოწმებს თავის [illegible]. ჩვენ არ წავეკითხავს პროფ. ხახანაშვილის წერილი ამის შესახებ—და არც გვაქვს საბუთი დაუჯეროთ ბ. კაკიტელაშვილს, ვინაიდან მისი იმდროინდელი ამხანაგები დღესაც იგონებენ მის ხულიგანურ გამოსვლას ცენის პრესაში და ჰგმობენ მას.

ამგვარად ბატონო დოხტურო, თქვენ ხედავთ, რომ თქვენი მოღვაწეობის ნიმუშების ჩამოთვლა და აღნუსხვა ჯერ არ დასრულებულა და კითხვა მომავლისათვისაც გადადებულ იქნება.

ამ ჟამად კი ჩვენ ამაზე ბევრ ლაპარაკს არ [illegible], ვინაიდან ამ დღეებში განიხილვება სამედიატორო სასამართლოში არა მარტო თქვენი, ვითომდა, პირადი შეურაცხყოფის საქმე ჩემი ამხანაგი „ხმის“-ს მიერ, არამედ ამ სასამართლოს ჩვენ ვაძლევთ აგრეთვე იმ მნიშვნელობას, რომლითაც მრავალი სინათლე უნდა იქნეს შეტანილი ქართველ ისრაელთა პრობლემაში, მანამდე კი ეს მცირე პასუხი იკმარეთ.

ი. ხანანაშვილი.

* * *

უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკურ ცნობით-ლორენში არეულობა დაიწყო.

შვეიცარიის პრეზიდენტი მომავალ არჩევნებში თავის კანდიდატურას აყენებს.

კიევის და ცარიცინის რაიონში ბოლშევიკები შეტევას განაგრძობენ.

ნოე ჟორდანია თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

დასჭრეს ბათუმის მეჯლისის თავმჯდომარის მდივანი.

მთავრობის წრეებში

ზომები რკინის გზებზე წესიერების დასაცავად

რკინის გზები გამოცხადდეს სამხედრო წესებზე და [illegible] გენ.-გუბერნატორის თანამდებობაზე დაინიშნოს პოლ. გლ. [illegible] მილიციის უფროსის თანამდებობაზე დატოვებით. ხსენებულ გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში გადაიდოს ავანსად 10 მილიონიან ფონდიდან 100.000 მან. მიმდინარე ხარჯების დასაფარავად.

2. აუცილებელ საჭიროებად იქნას ცნობილი, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად მდებარე სოფლების ადგილობრივ მოსახლეობის მონაწილეობა ხსენებულ ლიანდაგის დაცვაში და ამ დაცვის ორგანიზაცია დაუყოვნებლივ დაევალოს ერობებს.

3. ლიანდაგის აყრის, ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, მატარებლის დამსხვრევით, მგზავრებთა დახოცვით და სხვა ამგვარი მოვლენით რკინის გზის მიერ ნახული ზარალისთვის ქონებით [illegible] პასუხს აგებენ ის სოფლები, რომელთა შეხებაც გამორკვეული იქნება, რომ ისინი მალავდნენ ბოროტ-განზრახველებს და არ ღებულობდნენ შესაფერ და შესაძლებელ წინასწარ ზომებს ბოროტ-მოქმედების აღსაკვეთად ან არ ასრულებდნენ ბოროტ განზრახველთა აღმოჩენას და ინდიფერენტულად ეკიდებოდენ რკინის გზის ინტერესებს.

4 საჭიროთ იქნას ცნობილი ჯავშნოსან მატარებლების—შეძლებისდაგვარად ხშირად მიმოსვლა—მხოლოდ წინასწარ შემუშავებულ გეგმით.

5. გაძლიერებულ იქნას სამგზავრო მატარებელთა დაცვა შემდეგი ზომით: ყოველ სახალხო მატარებელს გაჰყვება რაზმი რკინის გზის მილიციისა—აღნიშნული მილიციის შტატის საჭირო რაცხვით შესაბამად; წინადადება მიეცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ზემოთ აღნიშნულ მიზნისთვის გამოჰყოს გვარდიელთა საჭირო რიცხვი.

6. ზოგიერთი სადგურების დაცვა გაძლიერებულ იქნას.

7. დეკრეტი [illegible] სამგზავრო მატარებელთა მცველების რიცხვის გადიდებისა 50 კაცით და მათ შესანახათ 3 თვის განმავლობაში 738,513 მან. და 30 კ. გაღებისა სახელმწიფო ხაზინიდან მიღებულ იქნას და სასწრაფოდ წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

დახმარება სახალხო სახლს.

გადაიდოს განათლების მინისტრის განკარგულებაში 40,000 მან. 10 მილიონ ფონდიდან სახალხო სახლისთვის ერთდროულ დახმარების აღმოსაჩენათ.

სადღეო ხარჯების ნორმები.

1) სამსახურის გამო გამგზავრების დროს სადღეო ხარჯის დასაფარავათ შემოღებულ იქნას შემდეგი ნორმები სამოქალაქო დაწესებულებაში: ა) მინისტრს, მინისტრის ამხანაგთ და დეპარტამენტთა დირექტორებს ერთი მეოცედი თვიური ჯამაგირისა; ბ) განყოფილებათა და ცენტრალურ სამმართველოთა და ნაწილთა უფროსთ—100 მან.; გ) დანარჩენ მოსამსახურეთ 70 მან.; შიკრიკთ, დარაჯებს და სხ. 16,—50 მან.

ეს დადგენილება არ ვრცელდება რკინის გზის მოსამსახურეებზე და სამხედრო უწყებაზე, სადაც განსაკუთრებული ნორმებია შემოღებული და აგრეთვე იმ მოხელეებზე, რომელთათვისაც განსაკუთრებული ნორმებ იქმნება დადგენილი მთავრობის მიერ.

3. დაევალოს ყველა სამინისტროებს ერთი კვირის განმავლობაში წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს ჯამი, საჭირო ამ ხარჯების დასაფარავად.

4. წარედგინოს დამფუძნებელ კრებას შესაფერი დეკრეტი.

სოხუმის საკრედიტო დაწესებულებათა რევიზია.

გადაიდოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის განკარგულებაში 10.000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან სოხუმის საკრედიტო დაწესებულებათა რევიზიის მოსახდენად.

სამხედრო უწყების კრედიტის გადიდება.

ნება მიეცეს სამხედრო უწყებას ა. წ. სექტემბრის კრედიტი § 1, მუხ. 3 გაადიდოს 3,500,000 მანეთამდე იმ პირობით, რომ მავალ 8 თვის განმავლობაში ხსენებული კრედიტი შემცირებულ იქმნება აღნიშნული თანხით, ეს დადგენილება ძალაში შედის ოქმის დამტკიცებამდე.

სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნა.

1. სოხუმის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნოს იმავე ოლქის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი სიდამონ—ერისთავი.

2. სოხუმის ოლქის სასამართლოს პროკურორის თანამდებობის აღსრულება დროებით დაევალოს თბილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგს დიმიტრი ჩხატარაშვილს.

ქალაქის საბჭოში

22 სექტემბრის სხდომაზე, ქალაქის საბჭომ ქუჩებისა და დუქან მაღაზიების წარწერების ქართულად შეცვლის შესახებ დაადგინა;

1. ქალაქში ყველა საზოგადო სავაჭრო-სამრეწველო და სხვა და სხვა დაწესებულებებზედ მთავარი წარწერანი თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს სახ. ენაზედ.

2. მეპატრონეს უფლება ეძლევა გარდა ხსენებული მთავარი წარწერისა, რომელიც ქართული ენაზედ იქნება სხვა ენაზედაც იქონიონ მცირედი წარწერანი.

3. ვადა ასეთი წარწერის დამზადებისა და გამოკიდვის დღიდან სამი თვეა.

4. მართლწერის და სტილის დასაცავად ყველა მეპატრონე ვალდებულია წარწერის ტექსტი წინდაწინ წარუდგინოს საქართველოს სავაჭრო პალატას, რომელიც შესაფერ ტერმინოლოგიას შეიმუშავებს და დახმარებას გაუწევს მსურველთ უფასოდ.

5. თუ ვინიცობაა მეპატრონეებმა მეოთხე მუხლში მოყვანილი ვალდებულება არ შეასრულეს და ისე დაუკვეთეს სახელოსნოებს წარწერათა დამზადება, მაშინ ხელოვანნი და შემსრულებელნი ასეთი წარწერისა თვით არიან ვალდებულნი წარუდგინონ სავაჭრო პალატას დასამტკიცებლად წარწერათა ტექსტი.

6. სახლის პატრონები ვალდებულნი არიან არსებულნი წარწერანი სახლის ფასადზედ და ფარნებზე სახელმწიფო ენაზე წარწერით შესცვალონ ამავე ხნის განმავლობაში.

7 ვინც ამ სავალდებულო დადგენილებას არ შეასრულებს დასჯილნი იქნებიან წესდების მე 29 მუხლის ძალით.

ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა ქალაქის თავის მოხსენება იმის შესახებ თუ როგორი ნორმა უნდა დაწესდეს სანიტარულ [illegible] იმ პირო-

ბეზზე, რომლითაც 1919 წლის განმავლობაში შეიძინეს უძრავი მამული თბილისში და დაადგინა: დაბეგვრილ იქმნას ნაყიდი ღირებულების ერთი პროცენტით ის პირები, რომელთაც 1917 წლიდან შეუძენიათ უძრავი ქონება 10,000 მანეთის მეტი ღირებულების

დასასრულ სხდომამ დამფუძნებელ კრების წევრის გ. სადგაშვილის მაგიერ აირჩია ბ. ავალიანი.

ქრონიკა

◆ დღეს გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „ობნოვლენიე"-სი, ნაცვლად მთავრობის განკარგულებით დახურულ „ვოზროჟდენიე"-სი. ახალ გაზეთის რედაქტორად მოწვეულია რაფიელ ივანიცკი (რ. ინგილო).

◆ **მომარაგების სამმართველო** ოფიციალური წყაროებიდან გვამცნობენ, რომ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა შესახებ მომარაგების საბჭოს დაშლისა სიმართლეს არ შეესაბამება. საბჭოდან გასულა მხოლოდ მიწად მოქმედების მინისტრი ხომერიკი. რაიმე რევიზია სამმართველოში არ სწარმოებს.

◆ **სახელმწიფო ბანკი** სექტემბრის 18 სხდომაზე პარლამენტმა დაადასტურა სახელმწიფო ბანკის დებულება ბანკმა სექტემბრის 20-და უკვე მოქმედება დაიწყო.

◆ **რვეულები** კულტურის და შრომის კავშირის სწრაფელმბეჭდავმა დაამზადა, განათლების სამინისტროს დავალებით, რვეულები შეგირდებისთვის, ერთხაზიანი და ორხაზიანი (ქართული). რვეულები ეძლევათ ერობათ დაბალ ფასებში.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ქართულ ყველა განყოფილებებში უნივერსიტეტის პროგრამის მიხედვით მეცადინეობა დაიწყობა 5 ოქტომბრიდან, რომელიც დაუბრკოლებრივ და ნორმალურად იწარმოებს.

◆ კვირას 28 ენკენისთვეს საღამ. 6 საათ. რუსული კლუბის ყოფილ შენობაში (პლეხანოვის ქუჩა სახლი № 123) დანიშნულია ქართულ განყოფილებათა ლექტორთა, ლექტორის მსურველთა და განყოფილებების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც აუცილებლად ყველა უნდა გამოცხადდეს. განყოფილებები, რომელთაც წარმომადგენელნი არა ჰყავთ ან და ახალ პირობების არჩევას ეპირებიან 28 ენკენისთვესთვის ყველა უნდა გამოცხადდნენ.

პრაქტიკული აკადემია. 22 სექტემბერს შესდგა კრება სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტისა, რომელსაც დაესწრნენ, სხვათა შორის, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი კანდელაკი, რექტორი სახელ. უნივერსიტეტისა პროფ. მელიქიშვილი და სხ. კრებამ მოისმინა მოხსენება პალატის, სასკოლო განყოფილების გამგის ბ-ნი. მიხეილ თაქთაქიშვილისა შესახებ ტექნიკურ და საპროფესიო განათლებისა. განათლების გეგმა მიღებულ იქმნა. კრებამ დაადგინა დაარსდეს პირველ რიგში სავაჭრო-სამრეწველო პრაქტიკული აკადემია ოთხი სემესტრიანი. აკადემიის სამოსწავლო გეგმის შესადგენად არჩეულ იქმნა კომისია სამი პირისაგან: ფინ. მინისტრი კანდელაკი, პროფ. მელიქიშვილი და მიხეილ თაქთაქიშვილი. კომიტეტი თხოულობს პალატის საერთო კრებისაგან სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად ჯერ ჯერობით 1 მილიონ მან.

◆ **მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ჟორდანია** განიკურნა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **კაჩუხოვ - ვეშაპელის** საქმის გარჩევა გადაიდო.

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრი** ბ-ნი ევგ. გეგეჭკორი თბილისში დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ **საქართველოს კონსული ბათომში.** ბ-ნი ნ. ალნიაშვილი თბილისში ჩამოვიდა. მის თანამდებობის აღსასრულებლად დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ბ-ნი პეტრე ჩინჯაშვილი, რომელიც გუშინ უკვე გაემგზავრა ბათომს.

◆ **პაპის ლეგატი** ვიზიტატორი დელფიუში დაბრუნდა თბილისში მესხეთ-ჯავახეთის მოგზაურობის შემდეგ.

◆ **მამედ-ბეგის მძიმედ დაჭრა.** 23 ენკენისთვეს ნაშუადღევის 5 ნახ. საათზე მუშტაიდის ბაღთან მილიციონერთან შეტაკების დროს მძიმეთ დაიჭრა ბათომ. მეჯლისის თავმჯდომარის მდივანი იზედ-ბეგი შაშიკ ოღლი. იგი მოათავსეს მიხეილის საავადმყოფოში. მდგომარეობა სერიოზულია. ჭრილობა გულ ზევით აქვს. მილიციელი მაჰმადიანივე აღმოჩნდა.

◆ **ქუთაისის საგუბერნიო ციხის** უფროსი ბაქრაძე თანამდებობიდან გადააყენეს, მის მაგიერ ნ. ასათიანი დაინიშნა.

◆ **ღვინისა და სპირტის დამზადება.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწიფო ქონების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, მთავრობის წინაშე, გადასდონ მის განკარგულებაში 3 მილიონი მანეთი. ღვინისა და საკონიაკო სპირტის დასამზადებელ ყურძნის შესაძენად.

◆ **დეპეშა ხონიდან** ხონის მცხოვრებთა, „განთავისუფლებული დელეგაცია დაიბარეს ქუთაისში და კვლავ ადმინისტრატიული წესით 3 თვით დააპატიმრეს. საზოგადოება აღშფოთებულია" საჭიროა მთავრობისა ან დამფუძ. კრების წევრის ჩამოსვლა და საქმის ადგილობრივი გამორკვევა.

კრებები

◆ **პარასკევს 26 ენკენისთვეს** საღამოს 6 საათზედ საოლქო სასამართლოს შენობაში დანიშნულია რუსეთის სხვა და სხვა უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტის მე-2-რე—3—4 კურსების სტუდენტთა საერთო კრება, სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება და პრაქტიკულ იურიდიულ კურსების დაარსების შესახებ. დასწრება სავალდებულოა.

სამხატვრო ქრონიკა

◆ **ქართული ფილარმონიული საზოგადოება** ამ წლიდან ქ. თელავში ხსნის სამუსიკო სასწავლებელს, რომლის გამგეთ დაინიშნა დამსახურებული მუსიკოს-კომპოზიტორი ზაქ. ივ. ჩხიკვაძე, რომელიც ამ დღეებში თელავში მიემგზავრება.

ქართველი მწერლები ალავერდის დღეობაზე

ალავერდის (კახეთში) სახელგანთქმულ დღეობაზე, 27 ენკენისთვეს, დაესწრობა მწერალთა კავშირის საბჭო თვისი შემადგენლობით. სხვათა შორის მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე კონსტანტინე მაყაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, დუტუ მეგრელი, შიო მღვიმელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, დავით კოპალი და სხ. მწერლები და პოეტები მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ღამის თევაში, ისე დღეობაში.

მათი მიზანია დაათვალიერონ კახეთი და კერძოდ ნახონ ქართულ დღეობის რიტუალი.

დღეობის შემდეგ ისინი დაბრუნდებიან ქ. თელავს, სადაც გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო. მწერალთა კავშირს ასეთივე ექსკურსიის მოწყობა განუზრახავს მცხეთაში სვეტიცხოვლის დღეობაზე, 14 ღვინობისთვეს.

ხონის ამბები

ქუთაისის ადმინისტრაციაში, როგორც სჩანს კაჩუხოვის ფესვები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. ხონის შესახებ შეიძლება ლეჩხუმის ამბების განმეორებას მოველოდოთ. ერთგვარი მზგავსებაც არის ლეჩხუმის და ხონის ამბებში. ლეჩხუმლებმა მშვიდობიანი გზით მოინდომეს სამიოდ თავისი მმართველის გამოცვლა ვეღარ აიტანა ამათი უკანონო მეგარები, თვითნებობა და ცემა-ტყეპა. გთხოვთ ამათ მაგიერ სხვა ვინმე დაგვინიშნოთო. დაინტერესებულ პირებმა აფრინეს თურმე შიკრიკი—მოგვეშველეთ ლეჩხუმში ჯანყება დაიწყოო. ქუთაისის გუბერნიის მაშინდელმა დიქტატორმა კაჩუხოვმა ეს საკმარისად მიიჩნია ლეჩხუმის მაზრის კანონის გარეშე გამოცხადებისათვის ასე გახადეს ანარქიისა და ამბოხების არენად მშვიდობიანი და მყუდრო კუთხე ჩვენი ქვეყნისა.

ხონშიც იგივე ხდება. საზოგადოებამ მშვიდობიანობისა და კანონიერის გზით მოინდომა თავისი შინაური საქმეების მოგვარება. განზრახული ჰქონდათ შუამდგომლობის აღძვრა მთავრობის წინაშე, რომ ხონში საქალაქო თვითმართველობა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხონს, გაუქმებულიყო და შემოღებულ იქნას საერობო მმართველობა. რა უფლება აქვს ადმინისტრაციას ჩაერიოს მოქალაქეთა ასეთს მუშაობაში, როდესაც ეს არ არღვევს წესრიგს და კანონიერებას? მაგრამ ქუთაისის ადმინისტრაციას მოსწყრეს—ხონში კონტრ რევოლუცია დაიწყოთ და ისიც გახდა ხონის დაინტერესებულ მოღვაწეების ბრმა იარაღი. ხონის მოქალაქედ და მის წარმომადგენელთ ომი გამოუცხადა—მოქალაქეთა წარმომადგენლები რამოდენიმე ჯერ დაიბარა ქუთაისში, შემდეგ სატუსაღოშიც დაამწყვდია.

ამას ჰქვიან დემოკრატიული წყობილება, ხალხური მმართველობა, სიტყვის და კრების თავისუფლება!

ასეთი თაოსნობით და ალღო-წახნილობით არის აღსავსე ჩვენი ადმინისტრაციის მოღვაწეობა ქალაქად თუ სოფლად, მაგრამ მართველი წრეები და მათი გაზეთი „ერთობა" ყველა ჩვენს საბუთებზე უსირცხვილოდ გაიძახიან სად ჰქონდა ადგილი თვითნებობას, ხალხის დარბევას და მისი თავისუფლების შელახვას. სირაქლემის პოლიტიკას აწარმოებენ. რევოლუციონურ თავს ქვიშაში რგავენ და გაიძახიან სად არის უკანონობა, ყოველივე წესიერად სწარმოებსო...

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანულ-რუსული კავშირი.

გერმანული პრესა ბერლინურ „Borsen Zeitung"-ის მეთაურობით ენერგიულ კამპანიას აწარმოებს გერმანულ-რუსულ კავშირის სასარგებლოდ.

კოლჩაკის მიერ ბერლინში გაგზავნილ დელეგაციას, რომელსაც დავალებული აქვს რუს ოფიცრების მობილიზაცია მეგობრულად ხვდებიან.

ხორვატიის დამფუძნებელი კრება.

ზელგრადის ახალი მთავრობა მანიფესტით აღუთქვამს მცხოვრებთ, რომ ახლო მომავალში მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება.

გერმანელი ტყვეები.

უმაღლეს საბჭოს დადგენილების განსახორციელებლად გაიცა ბრძანება ინგლისსა და საფრანგეთში მყოფ გერმანელ ტყვეების სამშობლოში დაბრუნებისა. პირველი წყება კი სექტემბრის 15 გაიგზავნის.

ტან-ვარჯიშისათვის

რევოლუციამ, ამ საერთო ნგრევის ხანამ მრავალი „წვრილი" ე. ი. ისეთი რაც არა „რევოლუციური" საქმე იყო შეაფერხა. ახალ გაზრდობა და წვრილმანდა, პარტიული კინკლაობაში ჩაება და უდიდესი საქმე, ერის ჯანსაღობის საქმე, უპატრონოდ დარჩა. რევოლუციურმა ფსიხოზმა ისედაც იდეალისტი ქართველი უფრო ოცნების მოტრფიალე გახადა და წმინდა აკადემიური, წმინდა ეროვნული მუშაობა, იქნება ეს სულიერ თუ ფიზიკურ სფეროში, მისთვის მეტად მოსაწყენი შეიქმნა.

დღეს დროა რომ ახალგაზრდობა ისევ დაუბრუნდეს თავის მოვალეობას ერის წინაშე. ახალგაზრდობის მოვალეობაა, რომ თავისი ძვირფასი დრო ისეთს საქმეს შესწიროს, რაც აუცილებლივ მასა და მის ერს დიდს სამსახურს გაუწევს. რა არის ასეთი საქმე. ასეთ საქმედ მე ვთვლი: ხალხურ ზნე ჩვეულებათა და სიტყვიერების აღწერას, უცხოეთის ლიტერატურის თარგმნას, რაც ყველაზე მეტია, ერის ჯანსაღობისათვის ზრუნვას. არავის არ უნდა იყოს ისეთი გულწრფელი და თავ-გამოდებული დარაჯი ერის ჯანმრთელობისა, როგორც ახალგაზრდობა.

ამ მხრით ქართველები ჩვენ ერს სრულიად არ ვაქცევთ ყურადღებას. ვერა ვგრძნობთ, რომ ვერავითარ პოლიტიკური აქტი ჩვენ ბედნიერებას ვერ მოგვიტანს თუ თავიდან გადაშენების საჩრდილს არ მოვიშორებთ ვერა ვგრძნობთ, რომ ქართველ ხალხს, ისე როგორც მრავალ სხვას რომელსაც სიკვდილის პროცენტი მეტი აქვს ვიდრე დაბადებისა, ამოწყვეტა მოელის; ვერა ჰხედავს, რომ ჩვენზე ათჯერ დიდი ერები ევროპაში ერის ჯანმრთელობის საქმეს მთელ თავის ღონეს ახმარებენ და ეს საქმე „სახელმწიფო-შორისო" საქმედ არა აქვთ მიჩნეული.

ბოლოს, ვერ ვხედავთ, რომ ქართველმა ხალხმა სრულიად დაჰკარგა ტანის და სილამაზის კულტი, ეს ხომ პირველი ნიშანია უკულტურობისა.

მთელ ქართულ პრესაში ამ საგანს მხოლოდ რამდენიმე პიროვნებამ მიაქცია ყურადღება. პირველად ბ-ონ ფილიპე გოგიჩაიშვილმა შეამჩნია „ჩვენი ზრდის ნელი პროცესი და საჭირო ზომები კი არ გვიჩნდა—შემდეგ ექიმმა ლამბაშიძემაც დაბეჭდა ერთი ორი წერილი შესახებ ხელოვნური შემოქმედება და საზოგადოდ ერის ფიზიკურად გაუმჯობესების მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და დასრულებული თავისი აზრი არც მას გამოუთქვამს.

მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში მიეცა მას პრაქტიკული სახე და „საქართველოს" ფურცლებზე ერთი ერთმანეთისადმი ნასროლ წერილებში ბ-ნ მანსვეტაშვილმა და ბ-ნ გიორგი ნიკოლაძემ გამოსთქვეს თავისი კონკრეტიული აზრი ერის განთავისუფლებისათვის გზის და საშუალების გამონახვის შესახებ.

როგორც გაზეთებიდან სჩანს, ამის ერთ-ერთ გზად მთავრობა მიუჩნევია სასწავლებლებში ტან-ვარჯიშობის საქმის ფართოდ დაყენება... თბილისში უკვე 20 სასწავლებელია, სადაც გამოცდილი წვრთნელები და მასწავლებლები არიან დანიშნულნი.

ყველა ქვეყნების სკოლებში ამ საგანს დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ. რუსეთში კი ტან ვარჯიშობის მასწავლებლებად მიდიოდნენ ნახევრად ინტელიგენტნი, რის გამოც ტანვარჯიშობაზე ხალხმა ვერ შეადგინა კარგი აზრი.

რაც შეიძლება რუსეთმა აიტანოს ის საქართველოსთვის დამღუპველი იქნება. აქ ამ საქმეს უნდა ჩაუდგეს სპეციალი ცოდნით აღჭურვილი ინტელიგენცია, რომელსაც შეგნებული ექნება თუ რა დიდ საქმეს აკეთებს. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ როდესაც თვით მთავრობა ტანვარჯიშობას ისეთ სავალდებულო და მთავარ საგნად ჩასთვლის, როგორც სხვა საგნებს; თუ შეიქნება მასწავლებლისათვის ისეთი პირობები, რომ მან არჩიოს მასწავლებლად ყოფნა რაიმე სხვა სამსახურს.

ყველამ იცის, თუ რა ცუდ მდგომარეობაშია საერთოდ დღეს მასწავლებლები; მაგრამ იმაზე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ტანვარჯიშობის მასწავლებელნი. ამისათვის ძლივდა ამ საგნის მასწავლებლობა საშუალო სასწავლებელ დასრულებულთ ნაკლებად კისრულობდა. დღეს კი, ვიმეორებ, ჩვენთვის ქართველებისათვის საჭიროა სწორედ შეგნებული მასწავლებელნი ამ დარგში თუ უმაღლესი არა საშუალო სწავლა დასრულებულნი მაინც. ამას კი ჩვენ მივაღწევთ თუ მასწავლებელთ საშუალებას მივცემთ იარსებონ.

ამ რიგად სახალხო განათლების სამინისტროს საქმეა დღეს მეტის ყურადღებით მოეპყრას ამ საგანს და მეტი საცადი გასწიოს, რომ სწორედ საჭირო ხალხი ჩაუდგეს ერის ჯანსაღობის საქმეს სათავეში.

ექიმი გ. შ—ია.

სინამდვილე სოფლად

სრული სამი თვე დავყავ ქართლში და მინდა საზოგადოებას გავუზიარო ყველა ის დასკვნა და საეჭვო აზრი, რაც მე ამ სამ თვეს აქაურის ცხოვრებით განვიცადე. მკითხველს ვარწმუნებ პატიოსანი სიტყვით, რომ ამ ჩემს მოკლე წერილში არც ერთი სურათი გაზვიადებული სიტყვით არ იქნება ფერით შეხმული,—პირიქით, სინამდვილე აღემატება ყველა ჩემ აქ ნათქვამს და განცდას; მე ჩემი გზა განვლე, არ მსურს ვისმე მოვეფერო, ვისიმე გული მოვიგო ვაამო ცრუ ჭეშმარიტების თქმით, როგორც ამას ზოგიერთ გაზეთებში აქვს ხოლმე ადგილი და მათ მივაწოდო ჩვენი სიფრთხილე, გულის ყური იმ იმედით, რომ აქ, ქართლში, სრული სამოთხეა დამყარებული.

ვინ არის ის ჩვენი დაუძინებელი მტერი, ის ჩვენი თავისუფლების სისხლით მაზიარეველი, ის ჩვენი ქვეყნის დამღუპველი და მესაფლავე, რომელიც ქართველ საზოგადოებას და უფრო კი მმართველ წრეებს აჯერებს, ვითომ ქართლში სრული სიმშვიდე იყოს დამყარებული, ხალხი კმაყოფილებას განიცდიდეს დღევანდელი ცხოვრების პირობებით და თანაგრძნობა იყოს ყველა იმ არა ჩვეულებრივი მოვლენების, რაც მას ახვევია გარემო?

მე არ ვიცი მათი სახელი, მე ამ მოკლე წერილში მხოლოდ ფარდას ავხდი და დღე, მკითხველმა ბუნდოვანად განვლილ პირებს თითონ მოუძებნოს და დაარქვას სახელები.

თუ გნებავთ, მე თითონვე ვარ დღევანდელი მმართველი პარტიის თაყვანის მცემელი, სოციალ-დემოკრატიის, სამშობლოს, ხალხის, ენის, თავისუფლების, ძმობა-ერთობის მოტრფიალე მაგრამ ისინი კი არა, რომ ყველა ავაზაკს ჩემს პარტიაში შევაფარებინო თავი, ყველას ამხანაგი ვუძახო, კაცის მკვლელი ამხან გათ გავიხადო და მხარ ზედ ხელი ვცემო ნიშნად ამხანაგობისა არა, მე ამისთანა სოციალ-დემოკრატი არა ვარ? ეხლა შეიხედეთ სოფლებში: ვინ არის სასოფლო ბანკის გამგეს? კოოპერატივისა? ერობის სარაიონო კომიტეტის წევრები? ტყის მეთვალყურე? ვის აბარია მერაბობა და სხვა მრავალი თანამდებობანი სოფლად?

გსურთ მათი სახელები გამოიცნოთ? მაშ მათხოვეთ ყური; გრძელ სიტყვას მოკლედ მოვჭრი: მეც სოფლელი ვარ, სოფ. ჩოჩეთიდან კი არა და იქვე ახლო სოფლიდან; რო არა გავაზვიადო ჩვენი სოფლიდან რომ დაიყვირო ღამე შეიძლება ჩოჩეთში გააგონო; აი, „აქ სცხოვრობდა (ახლაც სცხოვრობს) გლეხი კაცი როთველიაშვილი; ჯიელი როთველიაშვილი ჩემს თვალ წინ გაიზარდა, ვიცი ვინც არის; რევოლუციასთან მას არამც თუ სულიერი, არამედ ხორციელი დამოკიდებულებაც კი არა აქვს-რა. ამ თავზედ ხელ აღებულმა ბიჭმა 1905 წ. ახალქალაქში შუა დღისას, ხალხით გაჭედილ ქუჩაში, ერთი ხანში შესული კაცი წამოაქცია და ლორივით ყელი გამოსჭრა. არ იკითხავთ, რისთვისაო? აი რისთვის: ორი ქალი ჰყავდა; ამბობდნენ, სუფთა ყოფა-ქცევა ჰქონდათო; როთველიაშვილი ამ ქალებს იცნობდა; მოხუცს ეს არ მოსწონდა, ქალებს ამისთანა ნაცნობობას უშლიდა; ქალებსაც მოსწყინდათ მამის ზუზუნი; როთველიაშვილი ქალების ტრფობას დაეთრო, ვერ მოიშლიდა ის მათს ნაცნობობას, გადასწყვიტა, ქალებსა და მის შუა ამართული დარაბა გადაექცია და, როგორც ზემოთ გაკვრით მოგახსენეთ, კიდეც გადაექცა...

როთველიაშვილი,—როგორადაც კაცის მკვლელი, კატორგაში გაისტუმრეს...

დაბერა ხელახლად თავისუფლების გრიგალმა, დაწყდა ბორკილები, დაამსხვრა საპყრობილეთა ცხრა—კლიტური კარები, გამოვიდნენ მზეზე თავისუფლებაში მეომარნი, მათ თან მოჰყვნენ როთველი შვილები, ონოფრიშვილები, რირიფა კოკლუას შვილები და მრავალი სხვანი. როთველიაშვილი ეხლა თავისუფლებისათვის ტანჯულთა შარავანდედით თავ-შემკული მოგვევლინა. კაცის მკვლელი პარტიის პირველი კაცი გახდა, და, როდესაც კოწია ჯაფარიძე ქართლში დიდის ამალით დაიარებოდა, თბილისის გუბ. კომისრის წინაშე ის პირველ სიტყვას ამბობდა.

იცით კი რაზედ ლაპარაკობდა ეს ვაჟბატონი?

სხვას არ დავუჯერე, ერთხელ ჩემს სოფელს ეწვია ეს გმირი, აქ მოვისმინე... „სტუდენტები ჩვენ ზურგზედ სუქდებიან, მათი საჭმელი—თეთრი კვერცხი და მოხრაკული ვარიებიაო ეს ნასწავლები თავის ჯიბისკენ სწევენ ყველაფერსო" და სხვა. გუბერნიის კომისარს ვეღარ გაუძლო გულმა და ერთ-ერთ ამისთანა კრებაზედ ახალქალაქში მან როთველიაშვილი ტკბილად შეაჩერა: კარგი, ამხანაგო, ერთსა და იგივეს ნუ იმეორებ... ახსოვს ეს ბ. კოწიას თუ არა? როთველიაშვილის ქადაგებამ თავის ნაყოფი მოიტანა,—მისი შეგირდია გივლა ალიმბარაშვილი, რომელსაც ნასწავლი კაცის დანახვა ვერ მოუთმენია... ბოლოს როთველიაშვილი უზარ-მაზარ რაიონში დიდ კაცად შეიქმნა; იგი დაინიშნა გორის მაზრაში „პოდატნოი ინსპექტორად"...

სიტყვა გამიგრძელდა! ამ ვაჟბატონმა ბოლოს თავის გზა მონახა,—მთავრობისვე განკარგულებით ეს ჯიელი გორის ციხეში მოათავსეს; რაზედ?—იკითხავთ.

განა არ მოგეხსენებათ, რომ ეხლანდელ დროებაში უკიდურეს პოლიტიკურ მიდრეკილებისათვისაც კი არა სვამენ ციხეში, მაშასადამე, როთველიაშვილი ალბათ სხვა რამე საგმირო საქმეებისთვის ჩაავდეს ციხეში. იმის კისერზედ იყოს ბარნაბიაათ კარში ცოდო ბრალის დატრიალება; მაგრამ განა რომელი ერთი ვსთქვა.

ვინ იყო ეს ონოფრიშვილი? სადაური ფრინველი? და იცით რეები ჩაიდინა ამ „პრიკაზჩიკმა"? როგორ მოგითვალოთ!

ვინ არიან დღეს ერობის სათავეში? ერთზედ ამბობენ,—კოოპერატივი შეჭამაო; მეორეზედ —კოოპერატივისა სჭამსო; მესამე ყასაბია და ესე. ამათ აქვთ განაწილებული მთელი სოფლები, ესენი არიან ბატონ-პატრონნი. ვის შეუძლიან ან კოოპერატივისა, ან ბანკის ანგარიში მათ მოსთხოვოს? მოსთხოვე და რა დიდი საქმეა ჩვენი გლეხ-კაცი ანგარიშში გააცურო, ნათქვამია: მექოთნე საითაც უნდა ყურს იქით გამოაბავს ქოთანსაო, სოფლის ბატონ-პატრონნებს როგორც უნდათ, ისე აჩვენებენ საქმეს. მოსამართლეც მოგვივიდა, მაგრამ ვაი იმისი ბრალი! თუ ჩვენს ერობისტებს არ მოეწონოს სის მიერ გადაწყვეტილება საქმისა თვითონ არჩევენ. აბა რა მაგალითი, რა უნდა შესძინონ ამათთანა მოღვაწეებმა სოფელს? არაფერი! [illegible] სოფელში არავითარი წინ-წაწყალი საზოგადოებრივი ცხოვრებისა არა სჩანს, აქ არავითარი კულტურული მუშაობა არსად სწარმოებს! არის მიგდებული სოფელი უპატრონოდ და გაიძახიან: ჩვენ „როგორც საქონელი შელალო ტყეში, ისე ვართ უპატრონოთაო. სოფლად რომ მოვედი, სკოლაზედ დაუწყე ლაპარაკი; აი გიშველოთ ღმერთმა, ძლივს ქრისტიანული ლაპარაკი მოვისმინეთო; და განა სადაც ერობაა, იქ ხალხი ესე უნდა იყოს მიყრუებული? სამი თვე დავყავ სოფლად, ჩემი სოფელი თბილისს 40 ვერსით არის დაშორებული და ასე მეგონა ციმბირში ვარ მეთქი; გაზეთს ვიწერდით, ხოლო ვინ გვაღირსებდა მის წაკითხვას; ერობას ის ვერ მოეწესრიგებინა, რომ ფოსტა რიგზედ მოსულ იყო სადგურიდან. და იკარგებოდა გაზეთები, წერილები.

ახალქალაქის რაიონის ერობის წევრებს და სარაიონო კომისიის შორის დიდი უთანხმოება იყო; ერთი და მეორე მხარეც ერთმანეთის სახელის გატეხას უნდებოდნენ. „ერობისტების" სასიხარულოდ ლაშქარაშვილი იქიდან წავიდა და იმათ სიხარულს საზღვარი არა აქვს. ამათ რომ ჰკითხო, ლაშქარაშვილი მუშაობაში ხელს გვიშლიდაო; ხალხი კი ლაშქარაშვილის მადლიერია, როგორც მიუდგომელი და მოუსყიდავი კაცისა. რა უყოთ რომ გაუნათლებელია, უთავაზიანო და უკმეხი; და აი სწორედ ეს არ მოსწონდათ ლაშქარაშვილისა; სომხებთან ომის დროს, ამბობენ, სომხებს სისხლს უშრობდა; ისე კი, ბევრმა ვაჭარმა მითხრა: ეგ რომ არ იყოს, ერთ ღამეს თავისუფლად ვერ დავიძინებდით ჩვენ ჭერ ქვეშო. ლაშქარაშვილი დიადის ამბით გააცილეს ახალქალაქიდგან. აი ამათთანა პირებს მმართველ პარტიისათვის შეუფარებიათ თავი და პარტიასაც ამ ქლესა ხალხისთვის ჩაუბარებია სოფელი.

სასურველია ცოტა ზნეობრივი რამე ღირებულება ჰქონდეს ამა თუ იმ პირს, როცა სოფლად რაიმე თანამდებობაზედ ინიშნება, თორემ ძნელი გასათვალისწინებელია სად მივიყვანთ სოფელს, ამ გზით რომ ვიაროთ. გჯეროდეთ, სულაც არ არიან ხალხის ნდობით აღჭურვილნი ის პირნი, ვისაც რაიმე თანამდებობა უკავია სოფლად.

უფრო კი კარგი იქნებოდა, ჩემის აზრით, მთავრობას თავის მოხელე დაენიშნა ამა თუ იმ თანამდებობაზედ და პასუხის გებაც მოეთხოვა მისთვის. ეხლა კი ჩვენში კენჭით ამორჩევა ამა თუ იმ პირისა კეკემალულობაა. კარგი დედის შვილი ხარ და ნუ მისცემ ხმასა! აბა გაბედე! აი ეხლა [illegible] სოფლად საქმე.

სოფლად ფული აუარებელია.—ჩემთან არას დამალავენ და აი, ბევრს უთქვამს: უკანასკნელ გლეხ-კაცის ოჯახში სამას-ოთხას თუმანს იშოვიო.

ვაჭრობს სოფლად ყველა,—დიდიც, პატარაც; ფასები ზოგიერთა საგნებზედ იქ გაცილებით მეტია, ხანამ ქალაქად. ფულის ღირებულება დღითი-დღე ძირს მიდის.

სოფლის სკოლებში სასურველია ინიშნებოდნენ მასწავლებლებად იმისთანა პირები, ვისაც მეტი გამოცდა და ცოდნა აქვთ, თორემ ისედაც ეჭვიან გლეხ-კაცს საფულიდან ხელს ავალებინებთ. აი ერთი მაგალითიც: ერთაწმინდაში მასწავლებელი დაუნიშნიათ; ეს მასწავლებელი აქ პირველ ნაწილში იყო მილიციონერად. გლეხ-კაცებმა მის დანიშვნაზედ დიდი აურ-ზაური შექნეს, ნუ თუ მეტის ღირსნი არა ვყოფილვართო, ეგ რას ასწავლის ჩვენს შვილებს და სხვა.

ამ სტრიქონების დამწერი თითონ ამშვიდებდა სოფელს იმითი, რომ მთავრობის დანიშნულია, არც გაქვთ საბუთი მასწავლებლის უვარგისობაზედ ილაპარაკოთ; მიიღეთ, მიიარით, გაიცანით ერთმანეთი და თუ არ გაამართლოს მთავრობის და თქვენი იმედიც, მაშინ სთხოვეთ სადაც ჯერ არს. ამავე სოფელში განიზრახეს ამ შემოდგომით სარწყავი წყლის სავუბრები გააკეთონ; ეს დადგენილება სოფელმა ერობას წარუდგინა და სთხოვა ინჟინერი ხელმძღვანელად, არჩეულია სამი კაცი: ნიკა თათარაშვილი, ვასო ბატკუაშვილი და სანდრო ნავროზაშვილი. ესენი უნდა გაუძღვნენ ამ საქმეს.

ურტა რაული.

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 3.